# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/4 „ 18 " იანვარი 2022 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ა. იაშვილის საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა 2022 წლის 17 იანვარს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში გადაყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ალექსანდრე იაშვილი გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 24 იანვრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი